თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

23.03.2022

N 1235

სს ,,RMG Copper"-ის აღმასრულებელ დირექტორს

ბ-ნ თ. ლიპარტიას

მ. ალექსიძის ქ. N 1/9

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

ბატონო თორნიკე,

სს „საქართველოს რკინიგზა"-ში განხილული იქნა სს „RMG Copper"-ის 2022 წლის 21 მარტის №86.074 წერილით წარმოდგენილი, შპს „მშენებლობა-პროექტირების კომპანია"-ს მიერ შესრულებული მუშა პროექტი, რომელიც ეხება სადგურ კაზრეთის მიმდებარედ, თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო მისასვლელ ლიანდაგებზე 4 სარკინიგზო გადასასვლელის მოწყობის საკითხს.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად გათვალისწინებულია:

- გადასასვლელების ფენილების მოწყობა რკინაბეტონის ფილებით (№01 და №03 გადასასვლელი) და ძვ.ვარგისი რ-43 რელსებით (№02 და №04 გადასასვლელი);

- გადასასვლელის ფენილის სიგანე 6.0 მეტრი;

- ლიანდაგის რელსის ნაპირიდან ლიანდაგის ორივე მხარეს მისასვლელი ავტოგზების მოწყობა ნულოვან ქანობზე, არანაკლებ 9 მ-ზე თითოეულ მხარეს;

- საავტომობილო გზების გასწვრივ მიმმართველი ბოძების და დამცავი ღობეების მოწყობა;

- სარკინიგზო გადასასვლელებზე განათება;

- სარკინიგზო და საგზაო ნიშნების მონტაჟი;

- გადასასვლელების მოწყობის ადგილებში ლიანდაგების გასწორება პროფილში.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით და ადგილზე ხილვადობის დამაკმაყოფილებელი ნორმების უზრუნველყოფისას, ტექნიკურად შესაძლებლად მიგვაჩნია შემუშავებული პროექტის განხორციელება, თქვენი ხარჯებით.

ასევე გაცნობებთ, რომ საწარმოების ტერიტორიების საზღვრებში მოწყობილი სარკინიგზო გადასასვლელები განეკუთვნებიან ტექნოლოგიურ გასავლელებს და მათზე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია საწარმოს ადმინისტრაცია.

პატივისცემით

ინფრასტრუქტურის დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი

ი. ტიტვინიძე